სახელმწიფო სუბსიდირების მნიშვნელობა მცირე და საშუალო ზომის ფერმერული მეურნეობების განვითარებაში

ლუკა გორგილაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ბიზნეს ადმინისტრირება, მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო ლებანიძე, ასოცირებული პროფესორი, დოქტურანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ლუკა გორგილაძე

16.06.2024

აბსტრაქტი:

სოფლის მეურნეობის სუბსიდირება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლის მეურნეობის, ქვეყნის ეკონომიკის განვითრებაში. 2013 წლიდან დაიწყო და ყოველწლიურად მატულობს სუბსიდირებული თანხების რაოდენობა. სუბსიდიის საჭიროების მიუხედავად, კვლავ არსებობს დაბრკოლებები, დისბალანსი რეგიონების კუთხით, სირთულეები სუბსიდირების მიღების პროცესში.

ნაშრომის საკვლევი თემა ეხება სახელმწიფოს მხრიდან სოფლის მეურნეობის სუბსიდირების განხილვას. ნაშრომის კვლევა მიზნად ისახავს სუბსიდირების მნიშვნელობის განსაზღვრას სოფლის მეურნეობის დარგის განვითრებაში.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე ჩატარდა ორდონიანი კვლევა. პირველ ეტაპზე ჩატარდა სამაგიდე კვლევა, რომლის ფარგლებშიც შეირჩა შესაბამისი თემატური სადისერტაციო ნაშრომები, ხოლო შემდეგ მეორე ეტაპზე ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუ სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს წარმომადგენელთან, სამთავრობო პროექტების მხარდაჭერის ოფიცერთან და სუბსიდირების პროგრამაში ჩართულ ფერმერებთან.

ნაშრომში გადმოცემული იქნება სუბსიდირების მაგალითები, ქვეყანაში არსებული მდგომარეობა სუბსიდიების შემდეგ, სტატისტიკები და ყველაზე მოთხოვნადი მიმართულებები. გაანალიზებული იქნება სუბსიდირების თანმხლები დაბრკოლებები და სირთულეები.

ნაშრომში დასკვნის სახით გამოიკვეთა, რომ სუბსიდირება ეხმარება ფერმერს მეურნეობის განვითრებაში, წარმოების ზრდასა და ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდაში. გამოიკვეთა დამატებითი მიგნებები, რაც უკავშირდება სუბსიდირების ნაკლოვანებებს, რომელზეც დეტალურად იქნება გამახვილებული ყურადღება კვლევითი პროექტის ფარგლებში.

საძიებო სიტყვები: სახელმწიფო სუბსიდირება, სოფლის მეურნეობა, შეღავათიანი აგროკრედიტი, კვლევა, სუბსიდირებული პროგრამა.

Abstract:

Agricultural subsidies play an important role in the development of agriculture and the country's economy. It started in 2013 and the amount of subsidized funds is increasing every year. Despite the need for subsidies, there are still obstacles, imbalances in terms of regions, difficulties in the process of receiving subsidies.

The research topic of the paper refers to the consideration of state subsidies to agriculture. The research of the paper aims to determine the importance of subsidies in the development of the agricultural sector.

Based on the purpose of the research, a two-level research was conducted. At the first stage, a desk research was conducted, within which relevant thematic dissertations were selected, and then at the second stage, an in-depth interview was conducted with a representative of the Agricultural Development Agency, a government project support officer and a farmer involved in the subsidy program.

The paper will present examples of subsidies, the situation in the country after subsidies, statistics and the most popular destinations. Obstacles and difficulties accompanying the subsidy will be analyzed.

The paper concluded that the subsidy helps the farmer to develop the farm, increase production and increase access to technologies. Additional findings related to the shortcomings of the subsidy were identified, which will be focused on in detail within the framework of the research project.

Search words: state subsidy, agriculture, preferential agricultural credit, research, subsidized program.